სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ოქროს ლაურეატები

საქვეყნოდ ცნობილმა ათლეტმა ნ. მუშეღიანმა (სომხეთი) დიდი ხანია მიატოვა სარბიელი, მაგრამ საყვარელ სპორტს — თავისუფალ ჭიდაობას, ცხადია, მაინც ვერ შეელია: იგი ახლა ახალგაზრდებს ავარჯიშებს და მსაჯობს კიდეც. გამოცდილი ოსტატი ხალიჩაზე მუდამ ყურადღებადაა ქცეული, რათა მოჭიდავეთა არც ერთი ილეთი, არც ერთი უმნიშვნელო მოძრაობა არ გამოეპაროს.

აი, ახლაც მუშეღიანი გულმოდგინედ ადევნებს თვალს ლ. თედიაშვილის ჭიდაობას, რომელსაც მეტოქე უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს მომწყვდეული. წამიც და არბიტრი ბრძოლის შეწყვეტის ნიშანს მისცემს, თედიაშვილს კი ხელს აუწევს გამარჯვების ნიშნად.

• • •

მისი სპორტული ბიოგრაფია სულ ორიოდე სიტყვით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ. თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ა. მოშიაშვილმა ამ სამი წლის წინ მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. შარშან იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 110 მეტრზე თარჯრბენში ჭაბუკთა შორის. მერე ამერიკელ მძლეოსნებთან ტრადიციულ მატჩში მიიღო მონაწილეობა და, ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მიიღო.

ნიჭიერი მძლეოსანი თავისი ოსტატობის ზენიტზეა და, იმედია, კიდევ არაერთხელ გაახარებს მძლეოსნობის მოყვარულთ.

სურათზე: 110 მეტრზე თარჯრბენის ერთ-ერთი ნახევარფინალური გარბენი (ა. მოშიაშვილი მარჯვნიდან მესამეა).



რეკორდები

ხარკოვი, 4 აგვისტო. აქ ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ავტომოდელო სპორტში. შეჯიბრება მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდებით აღინიშნა: ნ კბ სმ მოცულობის ძრავიანმა სარბოლმა საკორდო მოდელმა, რომელიც ინჟინერ-კონსტრუქტორმა ვ. იაკუბოვიჩმა (მოსკოვის ოლქი) შექმნა, საათში **229,885** კმ საშუალო სიჩქარე განავითარა, ხოლო მოსკოველი ვ. სოლოვიოვის მინიატურულმა მანქანამ (მისი ძრავის მოცულობა ორჯერ მეტია) — **231,362**.

შრომა დაუფასდა

თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის“ დირექტორი პ. დუნდუა სპორტის დიდი ქომაგია და საწარმოში ბევრს აკეთებს ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორს შრომა დაუფასდა: პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ პ. დუნდუა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში აქტიური მუშაობისთვის ნიშნით „პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების აქტივისტი“ დააჯილდოვა.

კარგად დაიწყეს

ორენბურგი, 4 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს პიონერთა საკავშირო პირველობა შაშში. თბილისის მე-100 სკოლის გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხა უზბეკეთისა და მოლდავეთის წარმომადგენლები, ხოლო რსფსრ-ს გუნდს სძლია — 3,5:0,5.

ჩვენებს 9,5 ქულა აქვთ და II ადგილზე არიან.

10 ქულით ლიდერობს აზერბაიჯანის ნაკრები.

ვ. ნინუა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 157 (4407)

1971 წ.
7 აგვისტო,
შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„მომეწონა მიხეილ ქორქიას, ზურაბ საკანდელიძისა და ვალერი ალთაბაევის თამაში“

კაირო, 5 აგვისტო. საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა აქ ანგარიშით 68:55 დაამარცხა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონი „გეზირე“.

შესვენებამდე თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა მთლიანად ხელთ იგდეს შეხვედრის სადავეები.

საქართველოს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ო. ქორქიამ მატჩის შემდეგ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ კმაყოფილია თავისი ბიჭებით. თუმცა, თქვა მან, თავდაპირველად შეუჩვეველ, ქვიშიან ნიადაგზე თამაში გაგვიჭირდაო.

„მომეწონა მიხეილ ქორქიას, ზურაბ საკანდელიძისა და ვალერი ალთაბაევის თამაში, — თქვა „გეზირის“ მწვრთნელმა გ. აზიზმა. — ჩვენთვის ეს მატჩი კიდევ იმით იყო საინტერესო, რომ ოქტომბერში, ევროპული ჩემპიონატის წინ, საქართველოში ვაპირებთ ჩასვლას და, ცხადია, კვლავ შევხვდებით თქვენს მოთამაშეებს“.

დღეს სტუმრები გაემგზავრებიან ალექსანდრიაში, სადაც ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ გამოვლენ.

ბრაზილია — რუმინეთი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, დევისის თასზე მოასპარეზე ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩში (პორტუ-ალეგრე) მასპინძლები ორი დღის შემდეგ ანგარიშით 3:0 დაწინაურდნენ და დანარჩენი შეხვედრები მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენას ვეღარ მოახდენდა.

შეჯიბრების მესამე დღეს ორივე გუნდის კაპიტნებმა შემადგენლობებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ძირითადმა მოთამაშემ პალამ სძლია კირმაირს (6:1, 2:6, 6:2, 6:4), ზედნიკი კი უგებდა ტავარესს (7:9, 7:5, 6:4, 5:4), მაგრამ დაბინდების გამო ეს ორთაბრძოლა შეწყდა და, ვინაიდან მეორე დილით ჩეხოსლოვაკიელები შინ მიემგზავრებოდნენ, ზედნიკს წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, ამ მატჩის საბოლოო შედეგია 4:1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. ბრაზილიელები დევისის თასის გათამაშების საზონათშორისო ფინალში გავიდნენ.

ფინალში გავიდნენ, აგრეთვე, რუმინელებიც, რომლებმაც დელიში ასევე ანგარიშით დაამარცხეს ინდოელები. შეჯიბრების მეორე დღეს რუმინელებმა ნესტასემ და ცირიაკმა სძლიეს მასპინძელთა დუეტს — მუკერჯისა და ლალს — 6:3, 6:8, 8:6, 6:1.

ცირიაკი მუკერჯისთან ორთაბრძოლაში დაწინაურდა (3:6, 7:5, 6:3), მაგრამ ბინდის გამო ეს შეხვედრა შეწყდა, რომელიც... აღარ განახლებულა: მეორე დღეს ინდოელი ავადმყოფობის გამო სათამაშოდ ვერ გამოცხადდა და მას წაგება ჩაეთვალა. ბოლო მატჩში კი ნესტასემ მოუგო ლალს — 6:4, 8:10, 6:1, 6:1.

ახლა საზონათშორისო ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან რუმინეთისა და ბრაზილიის ჩოგბურთელები. გამარჯვებული დევისის თასს ამ პრიზის ამჟამინდელ მფლობელებს — ამერიკელებს შეეცილება.

მწვრთნელის ტრიბუნა

რატომ ვკარგავთ ტალანტებს?

...საბჭოთა კავშირის ' ექს-რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილმა ტალინის სტადიონზე პირად ჭიდილში აჯობა ესტონელ ვ. კუუსიმიაეს. გაგახსენებთ, რომ დღეს კუუსიმიაეს ეკუთვნის სსრ კავშირის რეკორდი ბადროს ტყორცნაში, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გურამმა გააუმჯობესა ბაქოში (მერე ეს შედეგი მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ლიახოვმა კიდევ უფრო გაზარდა).

ერთი გარემოება რომ არა, ზემოხსენებულ ბრძოლას შეიძლება არც ჰქონდეს რაიმე კავშირი დღევანდელ წერილთან. საქმე ისაა, რომ გუდაშვილი და კუუსიმიაე ყოფილი სოფლის სკოლის მოსწავლეები არიან. ერთი დაბადებულია ესტონეთის სოფელ პანკიულში, მეორე დუშეთის რაიონის სოფელ ჭართალში.

საბჭოთა კავშირის ყველა იმ საუკეთესო მძლეოსნის ჩამოთვლას, რომელთაც სოფლის სკოლაში უსწავლიათ, ალბათ გაზეთის მთელი გვერდი არ ეყოფოდა. ეს იციან „სპორტის დედოფლის“ მოყვარულებმა. შემთხვევითი როდი იყო, რომ სოფლის სკოლების მძლეოსანთა მასობრივ შეჯიბრებას, რომელიც პირველად სწორედ საქართველოში ჩატარდა 1960 წელს, ამ სახეობის საკავშირო ფედერაციამ რეკომენდაცია გაუწია, ქვეყნის ყველა სპორტულ ორგანიზაციაში ჩასატარებლად.

ბევრი რესპუბლიკა (განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და რსფსრ) ფართოდ იყენებენ ასპარეზობის ამ ფორმას მძლეოსნობაში სპორტული ტალანტების გამოსავლენად.

როგორღა გვაქვს საქმე ჩვენ, ამ საქმის ფუძემდებლებს?

ჩვენი წამოწყების პირველ წლებში პირველობები სკოლებს შორის რესპუბლიკის რაიონების უმეტესობაში ტარდებოდა. ბევრ რაიონში შეჯიბრებებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

რესპუბლიკური პირველობის ფინალურ ტურნირებში ჩვეულებრივ რაიონულ შეჯიბრებებში შერჩეული 300-ზე მეტი ნორჩი მძლეოსანი გამოდიოდა. მაგრამ იმ რაიონების რიცხვი, სადაც მძლეოსნურ შეჯიბრებებს ატარებდნენ, თანდათან მცირდებოდა, ხოლო დამნაშავენი დაუსჯელი რჩებოდნენ.

წლეულს კი პირველობები 69-დან მხოლოდ 26 რაიონულ ორგანიზაციაშია ჩატარებული. ბევრ რაიონში, და არა მარტო რაიონში, მონაწილეთა რიცხვიცა და მათი მომზადების დონეც პირდაპირ ჯაოცებას იწვევს.

ამ თვალსაზრისით ნიმუშად გამოგვადგება აფხაზეთის სოფლის სკოლების მძლეოსანთა ფინალური შეჯიბრება, სადაც სარბიელზე 45 მოსწავლე გამოვიდა და მათგან მხოლოდ ორმა მიაღწია მოზარდთა I თანრიგის შედეგებს. რა თქმა უნდა, ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ აფხაზეთის სოფლის სკოლების მოსწავლეებში ნიჭიერი ბავშვები არ არიან. არა. საქმე ისაა, რომ იქ ნორჩი მძლეოსნების გამოვლენასა და აღზრდას ფორმალურად, უგულოდ ეკიდებიან.

ამგვარი დამოკიდებულების პირდაპირი მიზეზია ის, რომ საქართველოს წლევანდელი პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში მხოლოდ 151 მოსწავლე მონაწილეობდა.

ტრადიციისამებრ, რესპუბლიკური პირველობა უნდა ჩატარებულიყო არა მხოლოდ რაიონების ნაკრებ გუნდებს, არამედ იმ ათ სასკოლო კოლექტივს შორისაც, რომლებიც რაიონულ პირველობებში საუკეთესო შედეგებს მოიპოვებდნენ. მაგრამ ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელობამ არ იზრუნა სასკოლო გუნდის ჩამოყვანისთვის. არ დაგავიწყდეთ, რომ ერთ დროს მუხაესტატეს სკოლის გუნდი რესპუბლიკური ასპარეზობის ჩემპიონი იყო. მახარაძის რაიონის მესვეურებს, რომელთაც თვითონ მასობრივი შეჯიბრება ჩაატარეს, რესპუბლიკის პირველობაში საასპარეზოდ გუნდები არ გამოუგზავნიათ. მათ ნორჩ სოფლის სპორტსმენებს მოუსპეს შესაძლებლობა მონაწილეობა ნიეთოთ შეჯიბრებაში, საიდანაც დიდი სპორტის გზას დასდგომია ბევრი ნიჭიერი მძლეოსანი, თუნდაც, იმავე მახარაძის რაიონიდან. განა სოფლის სკოლის მოსწავლე არ იყო მახარაძელი თ. მდინარაძე, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს რეკორდსმენი სპრინტში?

რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობისთვის განაცხადები არ გამოუგზავნიათ და თავიანთი პირველობები არ ჩაუტარებიათ რაიონებს, საიდანაც წარსულ წლებში საქართველოს ბევრი კარგი სპორტსმენი მიუღია. დავასახელოთ საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში ც. ლიპარტელიანი (ლენტეხი), სსრ კავშირის რეკორდსმენი რვაჭიდში თ. გოგიბერიძე (ლანჩხუთი), სსრ კავშირის ჩემპიონი და საქართველოს რეკორდსმენი შუბის მტყორცნელ ჭაბუკთა შორის ნ. ზვიადაური (თიანეთი).

ამ შეჯიბრებების უგულებელყოფა ცუდ ტრადიციად იქცა მცხეთის რაიონის მესვეურებისთვისაც. ამ რაიონში კი კარგი სპორტსმენები იზრდებოდნენ. მაგალითად, სოფელ მუხრანიდან გამოვიდა დიდ სარბიელზე მ. თათარაშვილი, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში ყველა დაჯაბნა ბირთვის კვრაში და საქართველოს რეკორდი დაამყარა გოგონათა შორის.

ასეთი გულგრილობა არავის ეპატიება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკია მძლეოსნობაზე — სპორტის უმთავრეს ოლიმპიურ სახეობაზე.

აუცილებელია სისტემატური მუშაობა სოფლის სკოლების ნიჭიერ მძლეოსნებთან. გაისიდან ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირობები ჩვენს რესპუბლიკაში.

საქმე ისაა, რომ ზემოჩამოთვლილი სოფლის სკოლების სპორტსმენები (და ბევრი სხვაც) განათლების სამინისტროს სპეციალურ სპორტულ სკოლა-ინტერნატში არიან აღზრდილი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 1 სექტემბრიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში იქმნება სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები, სადაც ნიჭიერ, პერსპექტიულ მოსწავლეებს მოამზადებენ.

ამ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები გათავისუფლებული იქნებიან სწავლის გადასახადისგან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კვების ხარისხი.

გლდანის ინტერნატში საუკეთესო პირობები იქმნება მძლეოსანთა მომზადებისთვის — შენდება 144-მეტრიანი მძლეოსნური მანეჟი, კაპიტალურად შეკეთდება მძლეოსნური სტადიონი. ეს საშუალებას მოგვცემს მთელი წლის მანძილზე ვიზრუნოთ მაღალი კვალიფიკაციის მძლეოსანთა მომზადებისთვის. მაგრამ წარმატებისთვის პირველ ყოვლისა საჭიროა მართლაც ნიჭიერი ბავშვების შერჩევა.

ასეთი ბავშვები კი არიან. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დღეს შრომობენ ამ უაღრესად საჭირო საქმის ენთუზიასტები და ზემოთქმულს სწორედ მათი საქმიანობის შედეგები ადასტურებენ.

მრავალი წლის მანძილზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები საუკეთესო შევსებას ღებულობდა ახმეტის რაიონიდან. ასეა დღესაც. მაგალითად, სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეა 16 წლის ბ. ვეშაგურიძე, რომელმაც ჭაბუკთა შარშანდელ პირველობაში ყველას აჯობა თარჯრბენში. ამავე ინტერნატში სწავლობს უფრო დაბალი ასაკის ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი.

საანგარიშო შეჯიბრების დროს ამ რაიონის 19 მოსწავლემ შეასრულა სპორტული სკოლა-ინტერნატის მისაღები ნორმატივები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 11 წლის ნ. ჩოფიკაშვილი სოფელ საკობიანოდან. მან თანატოლ გოგონათა შორის ორი I ადგილი დაიკავა რესპუბლიკურ პირველობაში— 60 მეტრზე რბენასა (8,8 წამი) და ხელყუმბარის ტყორცნაში (37,91 მ).

ახმეტის რაიონში სოფლის სკოლების შეჯიბრებებს დიდ ყურადღებას აქცევს ამ რაიონის განათლების განყოფილების გამგე ს. სალაძე.

მრავალი წლის მანძილზე დიდ მუშაობას ეწევა ნიჭიერი მოსწავლე მძლეოსნების გამოსავლენად განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორი შ. ჩიჩიტაშვილი. ნიჭიერი მძლეოსნების კარგი აღმზრდელები არიან მასწავლებლები მ. მოზაიძე (ზემო ალვანი) და გ. ჯიჯურიძე (ქვემო ალვანი).

მოზაიძის, ჯიჯურიძის, აგრეთვე, ფიზაღზრდის სხვა მასწავლებლების ყოველდღიური შრომით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდი, რომელმაც I ადგილი დაიკავა და ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი თასი.

მძლეოსნებით განთქმულია დუშეთის რაიონი. დავასახელოთ თუნდაც გ. გუდაშვილი, ც. ჩოლიაშვილი და სხვ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ს. ხუროძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ნიჭიერ მძლეოსანთა გამოვლენისა და აღზრდის მიზნით. ახლა მამის საქმეს აგრძელებს მისი ქალიშვილი სიუზი, რომელიც განათლების განყოფილების სპორტულ სკოლას უდგას სათავეში.

საერთო საქმეს ზრუნვას არ აკლებს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მ. კარიაული.

რაიონის პირველობის წარმატებით ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარის გ. ბუჩაშვილის ყურადღებამ.

სწორედ ამ მუშაკების მონდომებით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელმაც რესპუბლიკურ პირველობაში II ადგილი დაიკავა.

III ადგილზეა ზუგდიდის რაიონის გუნდი.

წლევანდელ სეზონში ზუგდიდში ჩატარდა სოფლის სკოლების მოსწავლე მძლეოსანთა მასობრივი შეჯიბრება. სარბიელზე 500-ზე მეტი ბავშვი გამოვიდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ 14 წლის რ. ვახანია, რომელმაც 600 მეტრზე რბენაში შეჯიბრება მოიგო (1.39,3), და ბირთვის კვრაში გამარჯვებული ჯ. წყაროზია (10,12 მ).

სოფლის მოსწავლეთა შორის ნიჭიერი მძლეოსნების გამოვლენისთვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რაიონული სპორტული სკოლის მწვრთნელი ვ. ანჯაფარიძე.

მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზაციისთვის დიდი ჯაფა გასწიეს რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა: ფიზიკური კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ბულიამ, „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ შ. ჩანგელიამ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ჯიქიამ, რაიონული სპორტული სკოლის დირექტორმა ჯ. სხულუხიამ.

როგორც მუდამ, ნიჭიერი მოსწავლეები გამოიყვანა აგარის სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა გ. ლურსმანიშვილმა. მისმა აღსაზრდელებმა რესპუბლიკურ პირველობაში ხუთი I ადგილი დაისაკუთრეს, სკოლის გუნდი კი II ადგილზე გავიდა.

სასკოლო კოლექტივებს შორის I ადგილზეა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სკოლა. სკოლა განათლების სამინისტროს გარდამავალი თასითაა დაჯილდოებული.

III ადგილზეა დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის სკოლა.

შეჯიბრების დებულების შესაბამისად, პირველ სამ ადგილზე გასული სკოლების დირექტორები დ. შანქიშვილი, მ. ზამთარაძე და მ. ბარაძე, აგრეთვე, ამავე სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ასეთია საქართველოს სოფლის სკოლების მძლეოსანთა წლევანდელი პირველობის შედეგები, რომლებიც შესაბამისი ორგანიზაციების მხრივ სერიოზულ ანალიზსა და დასკვნებს მოითხოვენ.

მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადება სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების მუშაობის სისტემაში სპორტის მუშაკთა ყურადღების ცენტრშია. სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ დიდი შესაძლებლობები იმ საქმეში, რომლის პიონერებიც ჩვენვე ვართ.

ერთ-ერთი მთავარია სპორტული ტალანტების ძიება — ეს ყველა სპორტული ორგანიზაციის ვალია.

ზ. ტახტაროვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი და დამსახურებული მასწავლებელი, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის სოფლის ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე.

პრიზიორებმა ადგილები გაცვალეს

„კოლმეურნის“ აჭარის კალათბურთელთა პირველობაში ვაჟთა შორის წარმატებას მიაღწიეს ხელვაჩაურის რაიონის წარმომადგენლებმა. მათ ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს. II საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ქობულეთელებს, III — ქედელებს.

ხელვაჩაურელთა გამარჯვებით აღინიშნა ქალთა ტურნირიც. სამაგიეროდ, მეორე და მესამე პრიზიორებმა ადგილები გაცვალეს.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა კოლმეურნე მძლეოსანთა ტურნირშიც. I ადგილი ქობულეთის რაიონის კარგად მომზადებულმა გუნდმა დაიკავა. შემდეგ არიან ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონების წარმომადგენლები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.)

ბათუმი,

ახალი ამბები — 71

● **მოსკოვი, 4 აგვისტო.** იუგოსლავიის ვიცე-ჩემპიონებმა — სარაევოს „ჟელეზნიჩარის“ ფეხბურთელებმა სსრ კავშირში თავიანთი პირველი მატჩი დღეს აქ გამართეს. სტუმრებმა დაამარცხეს ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 8:1. პირველ ტაიმში იანკოვიჩმა მასპინძელთა კარში 2 ბურთი გაიტანა, შესვენების შემდეგ კი გოლების ავტორებად ბუკალი და მოსკოველი დავიდოვი მოგვევლინენ. იუგოსლავიელები კიდევ ორ მატჩს ჩაატარებენ: ალმა-ათაში — „კაირათთან“ და ერევანში — „არარატთან“.

● **ტაშკენტი, 4 აგვისტო.** საბჭოთა — არაბეთის სპორტის კვირეული უკვე პირველი რეკორდებით აღინიშნა. კაიროელმა ჟურნალისტმა მაჰმუდ მუჰამედ ობაიდმა ოთხი შესწორება შეიტანა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში: ქვესაშუალო წონის ამ 22 წლის ძალოსანმა სამჭიდის ყველა მოძრაობაში გააუმჯობესა უწინდელი მაჩვენებლები და ჯამშიც ბრწყინვალე შედეგს მიაღწია — 425 კგ. უზბეკეთის რეკორდი ქვემსუბუქი წონის ძალოსანთათვის დაამყარა ტაშკენტელმა მასწავლებელმა ე. ქარიმოვმა — მან 150,5 კგ აჰკრა. „ფახთაქორის“ სტადიონზე ნაჩვენები შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ეიზ ელ დინ იაკუბას (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) ნახტომი სიგრძეზე — 741 სმ. 1500 მეტრზე რბენაში თითქმის ბოლომდე ლიდერობდა სტუმარი აბდ ელ ჰამიდ ჰამიზი. მან პირადი რეკორდი დაამყარა, თუმცა ზედ ფინიშთან წინ გაუშვა ტაშკენტელი ი. იაკუბოვი. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა შეჯიბრებებში, აგრეთვე, აუზის ცისფერ ბილიკებზე გამართულ ასპარეზობაში წარმატება უმეტესად მასპინძლებს ხვდათ.

● **ჩელიაბინსკი, 4 აგვისტო.** „იუნოსტის“ სპორტის სასახლეში წლეულს სტარტი ჰქონდათ... ფიგურული ციგურაობის ოსტატებს. ასე ადრე საბჭოთა ფიგურისტები ყინულზე არასდროს გამოსულან, მაგრამ ახლა მათ საპოროს მომავალი ზამთრის ოლიმპიადა აჩქარებთ — უკვე თებერვალში საჭიროა საუცხოო სპორტულ ფორმაში ყოფნა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი თვის შემდეგ უძლიერეს საბჭოთა ფიგურისტებს პარიზში მოუწევთ გამოსვლა გაზეთ „იუმანიტეს“ ტრადიციულ დღესასწაულში, ოქტომბერში კი პირველი საკავშირო შეჯიბრება გაიმართება — ტურნირი „ვოსკრესენსკის ციგურები“. „იუნოსტის“ დარბაზში მოსული მაყურებლები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს წყვილთა სრიალში ი. როდნინასა და ა. ულანოვს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს ცეკვებში ლ. პახომოვასა და ა. გორშკოვს, ლენინგრადელებს ლ. სმირნოვასა და ა. სურაიკინს, მოსკოველ ს. ჩეტვერუხინსა და სხვებს, რომლებიც საჩვენებელი პროგრამით გამოვიდნენ.

სურათზე: მსოფლიოს საუკეთესო საცეკვაო დუეტი — მოსკოველები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი ერთ-ერთი მორიგი გამარჯვების შემდეგ. ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

● **ათენი, 5 აგვისტო.** ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორე გამარჯვება იზეიმა ერევნელმა რ. ვაგანიანმა: III ტურში მან 30-ე სვლაზე დაამარცხა ი. ჰაუზნერი (ჩეხოსლოვაკია).

● **კალი, 5 აგვისტო.** პანამერიკულ თამაშებში იამაიკელმა დ. ქვორიმ 200 მ 19,8 წამში გაირბინა. ეს შედეგი ამერიკელი ტ. სმითის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა (ამერიკელმა სარეკორდო მაჩვენებელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მიაღწია), მაგრამ ქვორის გარბენში ძალიან ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა. 100-მეტრიან დისტანციაზე ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო ამერიკელი ა. დევისი — 11,2 წამი, ხოლო 400-მეტრიან დისტანციაზე — მსოფლიო რეკორდსმენი მ. ნეფვილი (იამაიკა) — 52,3. რ. მანმა (აშშ) მოიგო 400 მეტრზე თარჯრბენი — 49,1.

● **ბონი, 5 აგვისტო.** მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოკეისტთა გუნდმა ამხანაგურ მატჩში სძლია დასავლეთგერმანულ გუნდს „ფიუსენს“—5:0.

როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19^{45}

◆ **დონის როსტოვი, 6 აგვისტო.** საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატის მთავარ ფინალში „ლოკომოტივის“ გუნდის მოჭადრაკეებს მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი ჩაუდგება სათავეში. „ლოკომოტივთან“ ერთად საპატიო თასისთვის და მედლებისთვის იბრძოლებენ „სპარტაკი“, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლი, „ავანგარდი“, „ბურევესტნიკი“ და „ტრუდი“. ამათგან ზოგიერთებს ასევე სახელგანთქმული დიდოსტატები თაურკაცობენ: „ავანგარდს“ — ლ. შტეინი, „ბურევესტნიკს“ — მ. ტაიმანოვი... მსოფლიო ჩემპიონს მთავარი ფინალის I ტურში არმიელთა ლიდერთან — დიდოსტატ რ. ხოლმოვთან უწევს შეხვედრა (თუ არმიელთა გუნდში არაფერი შეიცვალა).

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 აგვისტოსთვის

დუბლიორთა შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	19	14	4	1	47—18	32
„დინამო" (კიევი)	20	10	6	4	31—16	26
ასკ (დონის როსტოვი)	17	10	5	2	26—10	25
ცსკა	21	8	9	4	24—18	25
„შახტიორი" (დონეცკი)	18	9	6	3	24—17	24
„არარატი" (ერევანი)	19	7	5	7	23—19	19
„კარპატი" (ლვოვი)	20	5	8	7	23—32	18
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	17	7	3	7	27—23	17
„დინამო" (თბილისი)	18	7	3	8	22—24	17
„ქაირათი" (ალმა-ათა)	18	6	5	9	23—27	17
„სპარტაკი" (მოსკოვი)	17	5	4	8	21—27	14
„ზენიტი" (ლენინგრადი)	18	5	4	9	20—29	14
„ტორპედო" (მოსკოვი)	17	5	3	9	26—35	13
„დინამო" (მინსკი)	19	3	7	9	18—27	13
„ნევთჩი" (ბაქო)	18	3	5	10	15—24	11
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	19	4	3	12	20—46	11

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

5 აგვისტოს შედგა ორი მატჩი. აშხაბადის „სტროიტელმა" შინ დაამარცხა კიშინიოვის „მოლდოვა" — 1:0, ხოლო ხარკოვის „მეტალისტმა" — ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 4:1.

რესპუბლიკის თასზე

გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს თასზე ფეხბურთში. მოგვყავს მათი შედეგები:

მსუბუქი ტაქსების ატკ № 1 (თბილისი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:2, „ეგრისი" (ცხაკაია) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1, „ფეიქარი" (წულუკიძე) — სატელეფონო ქსელის სამმართველო (თბილისი) 2:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სალხინო" (მაიაკოვსკი) 2:2, 2:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ტრუდი" (სოხუმი) 4:0, „სულორი" (ვანი) — „კახეთი" (თელავი) 1:0, „სინათლე" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1, 2:1.

დღეს ფინალია

⊙ წლეულს სსრ კავშირის საფეხბურთო თასის საიუბილეო გათამაშებაა — 30-ე. დღეს ჩვენ შევიტყობთ თასის ახალ მფლობელს.

● ფინალში, როგორც იცით, თამაშობენ მოსკოვის „სპარტაკი" და დონის როსტოვის არმიელთა გუნდი.

⊙ სპარტაკელები თასის რეკორდსმენები არიან. ისინი მეთორმეტედ თამაშობენ ფინალში და გადამწყვეტ მატჩებში მხოლოდ სამჯერ დათმეს გამარჯვება: 1948 წელს წააგეს ცდკა-სთან — 0:3, 1952 წელს — მოსკოვის „ტორპედოსთან" — 0:1 და 1957 წელს — მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 0:1.

⊙ როსტოველები მეორედ თამაშობენ ფინალში. 1969 წელს ისინი დამარცხდნენ ლვოვის „კარპატისთან" — 1:2.

⊙ სპარტაკელებს თასზე სულ ჩატარებული აქვთ 118 მატჩი, რომელთაგან 84 მოიგეს, 12 ფრედ დაამთავრეს და 22 წააგეს.

⊙ როსტოველებმა ითამაშეს თასის 36 მატჩი — 20 მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 14 წააგეს.

⊙ დღევანდელი ფინალისტები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ მხოლოდ 10 წლის წინ, მერვედფინალში. პირველმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 2:2. განმეორებით თამაში მოიგეს როსტოველებმა — 2:0.

წლეულს ფინალისტები უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს საკავშირო ჩემპიონატში. ორივე მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 1:0 და 2:1.

⊙ წლევანდელი თასის მატჩებში სპარტაკელთა შორის თავი გამოიჩინა ზაპოროჟიეს „მეტალურგში" აღზრდილმა ვ. ეგოროვიჩმა (5 ბურთი), ხოლო არმიელთა შორის — ვ. ბონდარენკომ (3).

⊙ შეგახსენებთ, რომ სსრ კავშირის თასის მფლობელები დღემდე იყვნენ: „სპარტაკი" (მოსკოვი) — 8-ჯერ, ცსკა, „დინამო" (მოსკოვი), „ტორპედო" (მოსკოვი) — 4-4-ჯერ, „დინამო" (კიევი) — 3-ჯერ, „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „შახტიორი" (დონეცკი) — 2-2-ჯერ, „ზენიტი" (ლენინგრადი), „კარპატი" (ლვოვი) — თითოჯერ.

⊙ სსრ კავშირის თასი იწონის 5.895 გრამს. აქედან 4.070 გრამს იწონის ბროლი, 875 გრამს — ხუფი და 950 გრამს — საყრდენი. თასის სიმაღლეა 57 სმ.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

საფეხბურთო დინასტიის წარმომადგენელი

ძველი ფოტოსურათი!

რამდენი რამის მოწმეა ეს ძველი, გაყვითლებული ქაღალდი, რამდენ მოგონებას აღძრავს ადამიანში მასზე აღბეჭდილი მომენტი. ერთ წამში კალეიდოსკოპური სისწრაფით გაიელვებს თვალწინ ათეული წლების წინ მომხდარი ამბავი. უცებ, წამიერად, მაგრამ ნათლად, თითქოს გუშინ იყო, გაგახსენებს სიჭაბუკეს, სპორტული ბრძოლით გამოწვეულ დაუვიწყარ ექსტაზს, გაგახსენებს მეგობრებსაც და მეტოქეებსაც, სიტკბოსაც და სიმწარესაც...

ამ სურათს 3 ათეული წლის ისტორია აქვს. ესაა საქართველოსა და ბელორუსიის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩის მომენტი შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაზე, რომელიც საქართველოს წარგზავნილებმა მოიგეს ანგარიშით 2:1 და პირველი პრიზიც ჩამოიტანეს თბილისში.

ახლა ბევრი ვეღარ იცნობს წინა პლანზე მყოფ ამ ქერათმიან ფეხბურთელს, რომელიც თავგამოდებით ებრძვის მეტოქეს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს გუნდის წარმატებაში, მეგობრებთან ერთად ჭაბუკური სიხარულით გაიხაროს დიდი გამარჯვებით.

რა თქმა უნდა, ვერ იცნობთ, ვინაიდან მას შემდეგ ზუსტად 30 წელი გავიდა. მაშინ 20 წლისა იყო, ახლა... ახლა კი 50 წლისაა.

ეს ჭაბუკი ნამდვილი საფეხბურთო დინასტიის წარმომადგენელია, თბილისელი ფეხბურთელი ვანო შუდრა.

ფეხბურთი, ფეხბურთი, ფეხბურთი! მას ეთაყვანებოდა სამივე ძმა: უფროსი — თბილისის „დინამოს" განთქმული მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგო შუდრა, საშუალო — ვახტანგ შუდრა და უმცროსი — ვანო შუდრა. თავდავიწყებით უყვარდათ ძმებს ბურთი, მას უძღვნეს ბავშვობაც, სიჭაბუკეც, ახალგაზრდობაც. მთელი ცხოვრება.

სადაც სერგო და ვახტანგი იყვნენ, ვანოც იქით მიეშურებოდა მუდამ — ბურთის სათამაშოდ. ასეთი ადგილები მაშინ თავსაყრელად იყო თბილისში. ერთ-ერთ კალენდარულ მატჩს ბავშვთა შორის ქალაქის პირველობაზე დაესწრო ნორჩთა ფეხბურთის დიდი მეგობარი, დაუღალავი ენთუზიასტი კ. სოლტანი. მას პირველ ნახვაზევე მოეწონა ვანოს თამაში და მაშინვე მიიწვია გუნდში, რომელიც თბილისის ლენინის სახელობის სტადიონთან ქყავდა ჩამოყალიბებული და სახელიც შესაფერისი ჰქონდა შერქმეული — „სტადიონის მეგობრები". ეს იყო 1935 წელს.

ერთი წლის შემდეგ განათლების განყოფილების სისტემაში შეიქმნა საფეხბურთო სკოლა, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ სპეციალისტს ა. გალპერინს. მაშინ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივს ამზადებდა ჩეხი მწვრთნელი ჟ. ლიმბეკი. იგი გაცვიფრებული იყო: ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი საიდანაა ამ ქალაქში? რომელ ეზოში ან ჩიხშიც შეიხედავდა ჩეხი სტუმარი, ტალანტების სიუხვე ჭრიდა თვალს, ამიტომ სულ ამას იმეორებდა: გახსენით საფეხბურთო სკოლა, თავი მოუყარეთ ამ შესანიშნავი მონაცემებით დაჯილდოებულ ბავშვებსო.

ასეთი სკოლაც გაიხსნა. აქ მოიყარეს თავი ა. დიაჩენკომ, გ. ნიკურაძემ, ი. დოლიძემ, ი. ქართველიშვილმა, ჭ. ჩეპელევმა, შ. აბაიშვილმა, კ. ლოგინოვმა, ს. ერქომაიშვილმა, ა. ზულიაშვილმა, შ. თათარაშვილმა, ვ. შუდრამ... შეიქმნა გუნდები „მოლოტი", „სერპი", „აისი" და სხვ.

ეს იყო მართლაც იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვთა პლეადა, რომელთაგან არაერთი ოსტატი აღიზარდა, ხოლო „მოლოტმა", სადაც ვ. შუდრა მუდმივად თამაშობდა, მოსკოვში 1 ადგილი დაიკავა ბავშვთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში. ეს შესანიშნავი წარმატება იყო.

1939 წელს ვ. შუდრა თბილისის „დინამოს" პირველ გუნდში თამაშობდა, შემდეგ — „ლოკომოტივში", თბილისის ოფიცერთა სახლის კოლექტივში.

დაიწყო ომი და ვანო სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფრონტზე მოხვდა. იბრძოდა ქერჩში, სხვა უძნელეს უბნებზე.

ომის შემდეგ ვ. შუდრა კვლავ მწვანე მინდორზე გამოდის. ყველას ახსოვს 1949 წლის თბილისის „სპარტაკი", მისი წარმატებები, ახალგაზრდული, მეგობრული კოლექტივის აზარტი და შემართება. გუნდი „ა" კლასში გადავიდა და მისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე სწორედ ვანო იყო. ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ იგი სპარტაკელთა ფორმაში, მუდამ სრულ მზადყოფნაში მყოფი, კორექტული, მაგრამ მებრძოლი.

დადგა დრო, როცა ფეხბურთელი უკანასკნელად გაწმენდს თავის ბუცებს და კედელზე კიდებს მათ. ასევე მოიქცა ვ. შუდრაც, მაგრამ ფეხბურთისთვის თავი არ დაუნებებია: 1955 წლიდან მოყოლებული დღემდე იგი თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლის (მაშინ — ვაჟთა 35-ე სკოლა) მწვრთნელია. როგორი კეთილსინდისიერი, გულმართალი და ერთგული ფეხბურთელი იყო ადრე, ისეთივე გატაცებით და ენერგიით ავარჯიშებს ახლა ბავშვებს. მის ხელთ მიიღეს ნათლობა გ. ხართიშვილმა, გ. ანფიმიადიმ, ჯ. ბერიკაშვილმა, მ. და გ. მაჩაიძეებმა, მრავალმა სხვამ.

50 წლის ასაკში კაცი თვითონ ვერ ითამაშებს ბურთს, თორემ მომავალი თაობის აღსაზრდელად მას ახალგაზრდაც კი ეთქმის.

აი, ასეთი ახალგაზრდა გვინდა ვუწოდოთ ვანო შუდრას, რომელსაც ყოველთვის იქ ვხედავთ, სადაც ადრე, ბავშვობის წლებში — ფეხბურთის სათამაშო მინდორზე.

რ. ქორიძე.

რბილ ასფალტზე გამარჯვების დუღლი

ტერნოპოლი, 5 აგვისტო. ველოსპორტში საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი სახეობა — 75 კილომეტრზე გუნდური საგზატკეცილო რბოლა გვიან საღამოს ჩატარდა, მაგრამ ამ დროსაც ძალიან ცხელოდა: ველოსიპედისტები პირდაპირ ასფალტის ფაფაში მიიკვლევდნენ გზას.

ამ მძიმე პირობებში ყველას აჯობა გუნდმა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების წევრებით (ვ. სოკოლოვი, გ. კომნატოვი, პ. ტრუმპელერი, ვ. ბობილევი) იყო დაკომპლექტებული. გამარჯვებულის დროა 1:38.59,51.

• • •

სიმფეროპოლი, 5 აგვისტო. 50 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა სახელი „სპარტაკის" გუნდის ველოსიპედისტმა ქალებმა მოიხვეჭეს. დისტანციაზე საუკეთესო იყო ასევე სპარტაკელი ლ. ზადოროჟნაია (ხარკოვი) — 1:23.42,5.

ველოსპორტი

ნანა და მზია

უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოზარდ მძლეოსანთა შორის. საქართველოს გუნდი მეორე ჯგუფში ასპარეზობდა და 11 ადგილი დაიკავა — 17057 ქულა. გამარჯვებულს — უზბეკეთის ნაკრებს იგი სულ 57 ქულით ჩამორჩა.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა — 17-18 და 15-16 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის.

„უფროსებში" თავი გამოიჩინა ა. ვლასოვმა (მწვრთნელი ვ. ოსმანოვი), რომელმაც უძლიერესის სახელი მოიხვეჭა სამხტომში — 14,32 მ.

„უმცროსებში" გაგვახარეს მწვრთნელ გ. მიროტაძის აღსაზრდელებმა ნანა ვლადიმერაშვილმა და მზია კიკნაველიძემ. ეს გოგონები მართლაც უმცროსები არიან, მაგრამ 15-16-წლიანთა შორის საასპარეზოდ დაუშვეს. ორივეს 165 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაემორჩილა, თანაც, მზიამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და გოგონათა რესპუბლიკური რეკორდის თანაავტორი გახდა. ცდების მიხედვით ჩემპიონის წოდება ვლადიმერაშვილს ხვდა.

ი. გიგაურის აღსაზრდელმა ვ. შპეტიშვილმა III ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში—44,58 მ.

ბ. ბუკიშვილი.

„ტუჯი ჩეის" ძლიერნი ამბობენ

1953 წლის 29 მაისის შუადღეს ორმა მთამსვლელმა — ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალელმა ნორგეი თენცინგმა მიაღწიეს ევერესტს (8848 მ ზღვის დონიდან) და 15 წუთი დაჰყვეს მწვერვალზე. მთამსვლელთა წესისამებრ ერთმანეთს გამარჯვება მიულოცეს, გადაიღეს ფოტოსურათები, დატკბნენ მომხიბლავი გადმოსახედით და ქვევით დაიძრნენ, სადაც ახალი ცხოვრება ელოდათ. სანუკვარ მწვერვალთან გამომშვიდობებისას შერპმა თენცინგმა გულთბილად წარმოთქვა:

— ტუჯი ჩეი, ჯომოლუნგმა — გმადლობთ, ჯომოლუნგმა.

ასე დაიწყო ევერესტის — სამყაროს მესამე პოლუსის ახალი ერა, დაპყრობის ერა, რომლისთვისაც კაცობრიობა 50 წელზე მეტ ხანს იბრძოდა და რასაც არა ერთი გამოჩენილი მთამსვლელის სიცოცხლე შეეწირა...

მას შემდეგ კიდევ სხვადასხვა ქვეყნის 26 მთამსვლელმა შედგა მწვერვალზე ფეხი. უკანასკნელად იგი შარშან იაპონელებმა დალაშქრეს, რომელთაგან ოთხმა მიაღწია მიზანს, რვა კი დაიღუპა. ამ გაზაფხულზე მსოფლიო პრესაში ფრიად საინტერესო ცნობა გამოჩნდა იმაზე, რომ ევერესტის ასაღებად ემზადება დიდი საერთაშორისო ექსპედიცია. იგი იმით იყო საყურადღებო, რომ ასვლაში პირველად მონაწილეობდა მთამსვლელი ქალი.

31 ამსვლელს შორის მხოლოდ 15 იყო პროფესიული მთამსვლელი, დანარჩენები მეცნიერი მუშაკები, ფიზიოლოგები, ბიოლოგები, ექიმები, კინორეჟისორები და კინოოპერატორები ვახლდნენ. ასვლას ხელმძღვანელობდა გამოცდილი სპეციალისტი, ჰიმალაის დიდი მცოდნე, წარმოშობით გერმანელი, ამერიკელი პროფესორი ნ. დირენფურტი, რომლის ხელმძღვანელობითაც ამერიკელებმა 1963 წელს დაიპყრეს ჯომოლუნგმა (ეს ექსპედიცია 300.000 დოლარი დაჯდა). ამსვლელთა შორის იყვნენ: ავსტრიელი ვ. აკსტი, ინდოელი ხ. ბახუგუნა, ტ. ჰიბლერი ვფრიდან, ფრანგი პ. მაზო, იტალიელი კ. მაური, ინგლისელები დ. ჰისტონი და დ. უილანსი, იაპონელები ნ. უემურა, რ. იტო, აგრეთვე, შვეიცარიელი ცოლ-ქმარი ივეტა და მიშელ ვოშები.

აპრილსა და მაისში 1100 მზიდავმა 36 ტონა ტვირთი აიტანა მწვერვალის ფერდობებზე. ჯერ კიდევ საორგანიზაციო დღეებში წამოიჭრა სხვადასხვა სახის პრობლემები. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ენის საკითხი გახლდათ. გასათვალისწინებელი იყო ასვლის, დაცვის ტექნიკის მეთოდის სიძნელეც. მაგალითად, ალპებში სულ სხვა ხერხებით სარგებლობენ მთამსვლელები, ჰიმალაი კი სულ სხვაგვარ ტექნიკას მოითხოვს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეროვნული პრესტიჟის საკითხებიც, როცა არავის სურდა დამცირებულიყო სხვა ქვეყნის წარმომადგენლის წინაშე.

ყოველივე ამას ეჭვის თვალით უყურებდა მსოფლიოს პრესა, რომელიც ასვლის დღეებში წერდა, რომ „მხოლოდ კარგ ხელმძღვანელობასა და მკაცრ დისციპლინას ძალუძს გადაარჩინოს ევერესტის საერთაშორისო ექსპედიცია, რომელიც მსოფლიოს ალპინიზმის ვარსკვლავთაგან შედგება". „უმაღლესი მწვერვალის დაპყრობის ყველაზე მკვირალა პროექტს საშიშროება ელის, ექსპედიციის წევრები კი სასოწარკვეთილი არიან..."

მართლაც, უბედურება ათდღიანი ქარბუქის შემდეგ დაიწყო (საგულისხმოა, რომ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში წელიწადის ამ დროს აქ ასეთი ავდარი არ ყოფილა). ექსპედიცია თოვლის ზვავებში გაიჩხირა. ტრაგიკულად დაიღუპა ერთ-ერთი ძლიერი ამსვლელთაგანი, მაიორი ხარშ ბახუგუნა. მაღლივ ბანაკებში ჟანგბადის ნაკლებობამ სერიოზულად დაავადა ექსპედიციის წევრები და იერიშის გაგრძელება ფაქტიურად მხოლოდ ოთხმალა შეძლო. ესენი იყვნენ იაპონელები უემურა და იტო, ინგლისელები უილანსი და ჰისტონი.

ამინდის უეცარმა შეცვლამ საჭურვლისა და საკვების მიწოდების მთელი გეგმები არია. ბანაკებს შორის ძნელ სავალებზე წინასწარ დაჭიმული თოკები, ხელოვნური ხიდები და კიბეები თოვლის ზვავებმა დაფარა. ჯგუფები თანდათანობით იშლებოდნენ. უკან დაბრუნების სურვილი პირველად პოპულარული ჟურნალის „ალპინიზმუსის" რედაქტორმა ტ. ჰიბლერმა გამოთქვა. მას საკვების უკმარობის გამო ფეხების საშინელი ტკივილი აუვარდა, მორალური სიმტკიცე კი ბახუგუნას დაღუპვამ დაუმსხვრია.

აპრილის ბოლო კვირას ექსპედიციის ექიმმა, ინგლისელმა სტილმა ბანაკის საველე ჰოსპიტალში ავადმყოფი მთამსვლელები ჩამოიყვანა. შემდეგ კი ასვლის ტაქტიკისა და მარშრუტის გამო უთანხმოებამ იჩინა თავი. ორჯერ შეიცვალა მეორე ჯგუფის დასავლეთის ფერდობზე გაგზავნის გეგმა, რათა დაეცვა სამხრეთ-დასავლეთი კედლით წინ მავალი ძირითადი ჯგუფი.

ამ აზრის წინააღმდეგი აღმოჩნდა ორი ხმა: საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრი პ. მაზო და იტალიელი კ. მაური. და როცა მათი პროტესტი არაფრად ჩააგდეს, მაზო დაემუქრა ექსპედიციის ხელმძღვანელობას, — ჩავალ ევროპაში და პრეს-კონფერენციაზე ვიტყვი, თუ როგორ მაიძულებდნენ მემუშავა მზიდავ შერპად ინგლისელებისა და იაპონელებისთვისო. ეს მან მთელი საფრანგეთის შეურაცხყოფად ჩათვალა. მაზოსა და მაურის ცოლ-ქმარი ვოშებიც მიჰყვნენ, რომლებმაც ავადმყოფობა მოიმიზეზეს.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინდოეთის არმიის 33 წლის მაიორ ბახუგუნას დაღუპვამ 7.000 მეტრ სიმაღლეზე. საქმე ის იყო, რომ ბახუგუნა წარმოშობით მაღალმთიანი გარვალიდან იყო, რომელიც მხედართმთავრებითა და მთამსვლელებითაა ცნობილი. არმიაში ხშირად უთქვამთ, რომ, თუ ბახუგუნას გენერლობა სურს, მთამსვლელობას უნდა შეეშვასო. მას კი გული მაინც მწვერვალებისკენ მიუწევდა. 1965 წელს ბახუგუნა მონაწილეობდა ინდოეთის ექსპედიციაში, რომელსაც ევერესტამდე 300 მეტრი დააკლდა. ამჯერად კი გადაწყვეტილი ჰქონდა რადაც უნდა დასჯდომოდა მიეღწია მიზნისთვის, რისთვისაც საგანგებოდ ემზადებოდა და ბევრს ვარჯიშობდა.

ხარშის დაღუპვის წინადღით მაურიმ და მაზომ დირენფურტს გამოუცხადეს, რომ, თუ მათთვის დამატებით შერპებს არ გამოყოფდა, უფრო იოლი გზით წავიდოდნენ მწვერვალისკენ. ამაზე ავადმყოფმა დირენფურტმა უპასუხა: გამოსავალი - ის არის, რომ ბატონებმა თანაბრად გაიყონ ბარგით. ეს კი მათ არ მოისურვეს, რადგან ძალას ყველა გადამწყვეტი შტურმისთვის ინახავდა.

მეორე დღეს ექსპედიციის უფროსმა ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინა და ჟანგბადის ამოსატანად პირველ (6250 მ) ბანაკში ჩავიდა. ამ დროს ქარიშხალი ამოვარდა, რასაც ზვავები მოჰყვა. ხმაურში ხელმძღვანელს მოესმა აკსტის ხმა: „იქ, ზევით, ხარშს ძალიან უჭირს".

ინდოელის გადასარჩენად მაშინვე გაიშურა დამხმარე რაზმი. მაგრამ უკვე გვიან იყო. მათ მომაკვდავი, თოკზე ჩამოკიდებული ბახუგუნა იპოვნეს. მას სახეზე ყინულის ნიღაბი გადაჰკვროდა და მთლიად გალურჯებულიყო. უილანსმა კედლით სცადა მეგობართან მისვლა, მაგრამ ამაოდ...

ასე ტრაგიკულად დამთავრდა ოროთვიანი ექსპედიცია. ამჯერად ჯომოლუნგმამ უკუაგდო ადამიანთა იერიშები და დაუმარცხებელი დარჩა — ასვლის დანარჩენ მონაწილეებს მხოლოდ 620 მეტრი დააკლდათ მწვერვალამდე.

უ. ჟიმინაძე.

ორიოდე თვის წინ სტოკჰოლმში გამართულ მძლეოსნურ საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია შვეციის ნაკრების წევრმა ი. დალგრენმა. მან იოლად დასძლია 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა და ეროვნული რეკორდი დაამყარა.

ამ შედეგს მძლეოსნურ წრეებში დიდი რეზონანსი ჰქონდა, ვინაიდან იგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. დალგრენზე უკეთ ამ სეზონში სამი ათლეტი გადახტა: ამერიკელები პ. მატცდორფი, ჯ. დობორტი და იაპონელი ხ. ტომისავა.

ტელეტაიპის ლენტიდან

საბჭოთა ჩოგბურთელების კარგი სტარტი

ლუქსემბურგი, 5 აგვისტო. აქ დიდ ინტერესს იწვევს ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა III ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა კარგად აიღეს სტარტი: თბილისელმა მეტრეველმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი მუტაუ (6:2, 6:3), ტალინელმა ლეიუსმა — პოლონეთის წარმომადგენელი გასიორეკი (7:5, 6:0), ბაქოელმა ლიხაჩოვმა — ასევე პოლონელი ნოვიცკი (6:3, 2:6, 9:7), მოსკოველმა მოროზოვამ — იუგოსლაველი სკული (6:2, 7:5), ალმაათელმა კროშინამ — პოლონელი კრული (6:1, 6:3), რიგელმა იანსონემ — ფრანგი დე რუბი (6:3, 6:2).

პირველ დღეს — ოქროს ორი მედალი

ლიეპაია, 5 აგვისტო. ძალოსანთა შორის „ბალტიის თასის" გათამაშების პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ოქროს ორი მედალი მოიხვეჭეს: უმძიმეს წონით კატეგორიაში ყველას აჯობა აჭიმვაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ლვოველმა ა. გნატოვმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში 315 კგ დააგროვა, ხოლო მძიმე წონაში პირველი იყო მინსკელი რ. ბელენკოვი — 345 კგ.

დაუმარცხებლად

ბელგრადი, 5 აგვისტო. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გუნდებმა დაუმარცხებლად განვლეს გოგონათა ევროპული ჩემპიონატის წინასწარი თამაშები თავიანთ ქვეჯგუფებში. ახლა ისინი ბულგარეთისა და იტალიის კოლექტივებთან ერთად ოქროს მედლებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

ნახევარფინალში საბჭოთა გოგონები ბულგარელებს ეთამაშებიან, ხოლო ჩეხოსლოვაკიელები — იტალიელებს. ამ მატჩებში დამარცხებული კოლექტივები ბრინჯაოს მედლებს გაითამაშებენ.

რეკორდები

კალი, 6 აგვისტო. პანამერიკული თამაშების პროგრამით აქ მოასპარეზე მძლეოსანთა შეჯიბრების მეწინავეს კუბელმა პ. პერესმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამხტომში — 17,40 (ეს შედეგი 1 სანტიმეტრით აღემატება სოხუმელი ვ. სანეევის უწინდელ მიღწევას). 19 წლის ათლეტი საოცრად სწრაფი ტემპით სრულყოფს ოსტატობას: შარშან მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის (16,38 მ), ამ რამდენიმე ხნის წინათ კი 16,86 მეტრზე გადახტა. აქ ასპარეზობისას პერესმა მძლეოსნობის ისტორიაში ნახტომების საუკეთესო სერია გვიჩვენა: სარეკორდო ნახტომის გარდა იგი კიდევ სამჯერ გასცდა 17-მეტრიან ზღვარს: 17,04, 17,12 და 17,19.

ბერლინი, 6 აგვისტო. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კარინ ბალცერმა (გდრ) აქ 100 მეტრზე თარჯრბენში 12,6 წამი აჩვენა — 33 წლის მძლეოსანმა 0,1 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელსაც პოლონელ ტერეზა სუკნევიჩთან ერთად ფლობდა.

სამხტომში: პ. პერესი — 17.40 მ

100 მეტრზე თარჯრბენი: კ. ბალცერი — 12,6 წამი

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — ერთი საშტატო ერთეული სპორტის ფიზიოლოგიის სპეციალისტისთვის, რომელსაც აქვს მუშაობის გამოცდილება და გამოქვეყნებული შრომები სპორტის ფიზიოლოგიაში, კერძოდ, სპორტსმენის აკლიმატიზაციის საკითხებზე.

2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ერთი საშტატო ერთეული ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატისთვის, რომელსაც აქვს მუშაობის გამოცდილება და გამოქვეყნებული შრომები სპორტის ფიზიოლოგიაში და ბიოქიმიაში, კერძოდ, სპორტსმენის აკლიმატიზაციის საკითხებზე.

საბუთების შეტანის ვადაა ერთი თვე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-66-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია—93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 01782